გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 93 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. დავესწარი ფრაქციის 3 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 26 საკითხის განხილვაში.

ასევე, ვარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. დავესწარი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 1 სხდომას, მონაწილეობა მივიღე 1 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- შევხვდი მოსახლეობას გორის მუნიციპალიტეტის ვერხვების დევნილთა დასახლებაში, მათი მოთხოვნაა კოტეჯების დათბუნება.
- შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შავშვების მოსახლეობას. მოსახლეობა მოითხოვს სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოასფალტებას და ფეხბურთის მინისტადიონის მოწყობას. შევპირდი, რომ აღნიშნულ საკითხებს დავაყენებდი შესაბამისი სამსახურების წინაშე.
- შევხვდი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კოშკას მოსახლეობას. მათი პრობლემური საკითხია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა. შევპირდი აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

ამასთან ერთად, აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი **2024 წლის 21 ოქტომბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მიხეილ ვახტანგაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ტყვიავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ ვახტანგაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მიხეილ ვახტანგაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მიხეილ ვახტანგაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023

წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მიხეილ ვახტანგაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბერუაშვილმა და პაატა ბარჯაძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი : მიხეილ ვახტანგაშვილი;